ხელშეკრულება №43
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
SMP170002035

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის და ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია "23 " აგვისტო 2017 წ. თბილისი.

ერთი მხრივ, **სახელმწიფო აუდიტის სამსახური,** წარმოდგენილი მისი საფინანსო და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის ბაჩა მგელაძის სახით (შემდგომში შემსყიდველი)
მისამართი: ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №96
საიდენტიფიკაციო კოდი: 202051956
ბანკის დასახელება: ქ. თბილისი, ,,სახელმწიფო ხაზინა"
ბანკის კოდი: TRESGE22;
ანგარიშსწორების ანგარიში:GE24NB0330100200165022

და მეორე მხრივ, **შპს „ჯეოონო"** წარმოდგენილი მისი დირექტორის ონისე საბიაშვილის სახით, (შემდგომში მიმწოდებელი),
მისამართი: საქართველო, ქ. რუსთავი, კოსტავას გამზ., N36, სააკაძის ქუჩაN2, ბ.No44
საიდენტიფიკაციო კოდი: 416292185
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა#: GE83BG0000000894947700

შორის

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში„ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

მუხლი 2 ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტია: სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თბილისის ადმინისტრაციულ შენობის გაგრილების სისტემის დანართი N1-ით გათვალისწინებული კომპრესორის და კომპრესორის ნაწილების მოწოდება და თანმდევი სამონტაჟო მომსახურების გაწევა (CPV 42123000; 42124000).

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ჯამური ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ის შესაბამისად და შეადგენს **33850 (ოცდაცამეტიათასრვაასორმოდაათი) ლარს** დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადები და ადგილი:

მიმწოდებელმა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან, 10 სამუშაო დღის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი №96

მუხლი 5. საქონლის ხარისხი და გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მოწოდებული საქონელი იქნება ახალი, ხარისხიანი და თავსებადი არსებულ სისტემასთან.

5.2 შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადა უნდაა 1 წელი, რომლის ვადის ათვლა იწყება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.

5.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში მომწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს შესყიდვის ობიექტის/ან მისი ნაწილის შეკეთება ან შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

მუხლი 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის საქონლის/მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

7.2. საქონელი/მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.3. საქონელი/მომსახურების მიღების შემდეგ ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით, გონივრულ ვადაში, უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.4. შემსყიდველი ვალდებულია დროულად აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს წუნდების მიზეზის მითითებით.

მუხლი 8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მოწოდებისა და ტანმდები სამონტაჟო მომსახურების დასრულების შემდგომ, გაფორმებული მიღება - ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშ- ფაქტურის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა;

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

8.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

8.4. სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყაროა: სახელმწიფო ბიუჯეტი;

8.5. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 9. ფასები

9.1. ხელშეკრულებაში განსაზღვრული ფასის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში (დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით გაზრდა).

9.2. ფასების ცვლილების შესახებ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით , რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებას.

მუხლი 10. ფორსმაჟორი

10.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

10.2. ამ ხელშრეკრულების მიზნებისათვის ფორსმაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.ასეთი გარემოება ასევე შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით ან სხვა სტიქიური უბედურებით;

10.3. ფორსმაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს დოკუმენტურად დასაბუთებული წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ,.

10.4. წინამდებარე ხელშეკრულების 10.3. პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომისას მხარეები უფლებამოსილნი არიან ხელშეკრულების შესაბამისად, შეცვალონ ან შეწყვიტონ ხელშეკრულების პირობები, სრულად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება,

მუხლი 11. მხარეთა უფლება–მოვალეობები.

11.1. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო;

11.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

11.3. მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო;

11.4. მიმწოდებელს უფლება აქვს მიწოდებული სამუშაოს სანაცვლოდ მიიღოს შესაბამისი სამუშაოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი.

მუხლი 12. მხარეთა ურთიერთობა

12.1. ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება მხარეთა შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას (მათ შორის ელექტრონული ფორმით);

12.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, ამ თარიღიდან რომელიც უფრო გვიან დგება.

მუხლი 13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

13.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის;

13.2. თუ ერთ–ერთი მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე წერილობითი ფორმით აფრთხილებს მას შეასრულოს ხელშეკრულების პირობები;

13.3. ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ ვალდებულებების კვლავ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს, შესაბამისი გაფრთხილების გაგზავნისა და დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, უფლება აქვს ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს), მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით;

13.5. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო - შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 5%-ის ოდენობით.

13.6 შემსყიდველი პასუხისმგებლობას კისრულობს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს ვადაგადაცილებული თანხის 5% პროცენტი.

13.7 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 14. გადასახადები და გაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, დაბეგვრის თანხის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს კანონმდებლობით და საქართველოს ფარგლებში

მუხლი 15. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 16. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

16.1. არანაირი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.

16.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

ბ) ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

გ) მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის ვადების 10 დღით დარღვევის შემთხვევაში (ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველი),

დ) 13.4. და 13.5 პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვის მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

17.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 18. დავების განხილვის წესი

მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 19. დამატებითი პირობები

19.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

19.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად დადგენილი პირობებით, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

19.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

19.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
ზაჩა მგელაძე	ონისე საბიაშვილი
საფინანსო და ლოჯისტიკის	დირექტორი
დეპარტამენტის უფროსი	

23.08.2017წლის N43 ხელშეკრულების

დანართი N1

ფასების ცხრილი

№	დასახელება	განზომილ. ერთეული	რაოდენ.	ფასი	ჯამი
1	ჩილერის კომპრესორი SZ380A4CBA	ცალი	2	9500.00	19000.00
2	თბოამრთმევი ვინტილატორის ძრავი	ცალი	1	4150.00	4150.00
3	თანმდევი სამონტაჟო მომსახურება : • დაზიანებული კომპრესორებიდან ფრეონის ამოტუმბვა და დემონტაჟის ისტემის ვაკუმიზაცია, • სისტემის გამორეცხვა აზოტით, • სისტემის გამორეცხვა ტექნიკური სპირტით, • სრული რევიზია (გაჟონვის წერტილების მონახვა, ჰერმეტიზაცია, სადებების შეცვლა და სხვა თანამდევი მომსახურება), • სისტემის ვაკუმიზაცია, • თბომცვლელის ქიმიური დამუშავება და გაწმენდა საკუთარი მასალებით, • ფრეონის ზეთი ჩატუმბვით, • ფრეონი R 407A შევსებით, • ფრეონის ფილტრი შეცვლით, • ელ. სქემის (ჩილერის ავტომატიკა) გასწორება, • ფრეონის კაპილარკები შეცვლით, • გაშვება-გამართვა, • სისტემის(ჩილერის) ექსპლუატაციაში გაშვება, • ყველა ძირითადი პარამეტრების (გათბობა-გაგრილება და კომბინირებული) • რეჟიმების შემოწმება-კორექტირება-პროგრამირება	კონტურ	2	5350.00	10700.00
	ჯამი				33850.00

შემსყიდველის მხრიდან:

ბაჩა მგელაძე

საფინანსო და ლოჯისტიკის

დეპარტამენტის უფროსი

მიმწოდებლის მხრიდან:

ონისე საბიაშვილი

დირექტორი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080107045262517

 # 2342 **18 / აგვისტო / 2017 წ.**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2017 წლის 16 აგვისტოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის SMP170002035 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს, გაგრილების სისტემის ორი ცალი კომპრესორისა და ვენტილატორის ძრავის (თანმდევი სამონტაჟო მომსახურებით) (CPV- 42100000 - დანადგარები მექანიკური ენერგიის წარმოებისა და გამოყენებისთვის) შესყიდვას.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თბილისის ადმინისტრაციულ შენობაში, 2017 წლის 11 აგვისტოს, დაზიანდა გაგრილების სისტემის ორი ცალი კომპრესორი და ვენტილატორის ძრავი, რის გამოც, არ მუშაობს გაგრილების სისტემა.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომა გამოიწვია გაგრილების სისტემის მწყობრიდან გამოსვლამ, რომლის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იყო. აღსანიშნავია, რომ შექმნილი ვითარება მნიშნელოვან ზიანს აყენებს შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას, კერძოდ, ზაფხულის პერიოდში, მაღალი ტემპერატურის გამო, თანამშრომლებისთვის იქმნება არასამუშაო პირობები. შესაბამისად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა შესყიდვა განხორციელდეს დროულად.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომა გამოიწვია გაგრილების სისტემის მწყობრიდან გამოსვლამ, რომლის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იყო. აღსანიშნავია, რომ შექმნილი ვითარება მნიშნელოვან ზიანს აყენებს შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას, კერძოდ, ზაფხულის პერიოდში, მაღალი ტემპერატურის გამო, თანამშრომლებისთვის იქმნება არასამუშაო პირობები. შესაბამისად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა შესყიდვა განხორციელდეს დროულად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოცემული შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის SMP170002035 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ზაზა ნანობაშვილი